ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

სხდომის ოქმი N76

2025 წელი; 30 მაისი; 16:00 სთ; ქ. თბილისი

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

**შალვა ლომსაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

**1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ საკითხი.**

სხდომის თავმჯდომარემ, შესავლის სახით, კომისიაზე დამსწრე წევრებს მოკლედ გააცნო განსახილველი საკითხი, რის შემდეგაც დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა, გარდა ლილე ლიპარტელიანისა, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგს.

**ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგის კენჭისყრამდე, შესავლის სახით, განმარტა,** რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა სამი წევრით იმგვარად, რომ ვეღარ ხდება რაოდენობის შევსება, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, საკრებულოს წევრთა რაოდენობა შეადგენს 47, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრთა რაოდენობა - 26. აღნიშნულმა გავლენა მოახდინა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გამართული ფუნქციონირებისა და პროპორციული წარმომადგენლობის დაცვისთვის საჭირო გახდა კომისიებში დადგენილი კვოტების ოპტიმიზაცია. ვინაიდან, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" არის საკრებულოს უმრავლესობაში, პროპორციულობის პრინციპის დაცვით, კომისიებშიც შენარჩუნებულ უნდა იქნას ამავე ფრაქციის უმრავლესობა. სწორედ აღნიშნული პრინციპის დაცვით განისაზღვრა ამ მოწვევის საკრებულოს პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები 2021 წელს. მოცემულობიდან გამომდინარე, კომისიის წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) 13 (ცამეტი) წევრიდან კვლავ 11 (თერთმეტი) წევრით განისაზღვრება, რაც გამოიწვევს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" არსებული კვოტის 1 წევრით შემცირებას და თავის მხრივ, პროპორციულად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის კვოტის 1 (ერთი) წევრით შემცირებას.

**ნინო ვარდოსანიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ** წარმოდგენილი ცვლილება საკრებულოს თითოეული წევრისათვის იქნება სამართლიანი, პირველ რიგში, პროპორციულობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით და უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიების გამართულ ფუნქციონირებას. ამასთანავე, ზემოაღნიშნულმა ცვლილებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს საკრებულოს უფრაქციო ან იმ წევრთა უფლებების განხორციელებასა და სახელფასო ანაზღაურებაზე, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციურ ფრაქციებში არიან გაწევრიანებულნი.

**ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლილე ლიპარტელიანის მოსაზრებით,** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის - საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ პროექტი არ იქნა გაგზავნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში.

**ნინო ვარდოსანიძისა და შალვა ლომსაძის განმარტებით,** როდესაც საკრებულოს კომისიას განსახილველად წარედგინება სამართლებრივი აქტის პროექტი, ეს უკანასკნელი თანდართულ საქმის მასალებთან ერთად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში, ეგზავნება შესაბამისი კომისიის თითოეულ წევრს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, დღის წესრიგით განსაზღვრულია ისეთი პროცედურული საკითხის განხილვა, რომლის შემუშავების ვალდებულებაც თავად კომისიას გააჩნია და საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ სამუშაო პროექტის ინიციირება სხვა მხარის მიერ არ ხდება.

**ლილე ლიპარტელიანმა დღის წესრიგის კენჭისყრის შემდეგ აღნიშნა,** რომ საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპი არის წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა, შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი ცალსახად აღნიშნავს შემდეგს: საკრებულოს კომისიებში ფრაქციის წარმომადგენლობა უნდა იყოს პროპორციულად წარმოდგენილი და ციტირებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის 1 პუნქტის შინაარსს.

**ლილე ლიპარტელიანის მოსაზრებით,** სამართლიანი და პროპორციული გადანაწილების პირობებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 7 წევრიანი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნდა იყოს წარმოდგენილი 2 კვოტით, ამასთანავე აღნიშნავს, რომ საკრებულოს სხდომებზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბოიკოტის რეჟიმშია, თუმცა, ფრაქციას სურს კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რაც საკრებულოს წევრის უპირატესი უფლებაა და კვოტირებით არ უნდა შეიზღუდოს. ასევე, მისი სურვილია იყოს საკრებულოს ორი კომისიის წევრი.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა - შალვა ლომსაძემ** განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს ორგანული კანონის „ადგლობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც და იმავდროულად შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა კომისიის შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა. შესაბამისად, აღნიშნული დანაწესის გათვალისწინებით, საკრებულოს ფრაქცია თავად იღებს გადაწყვეტილებას მისი წევრების საკრებულოს შესაბამის კომისიებში გაწევრიანების შესახებ და მოცემულ შემთხვევაში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყველა მოქმედი წევრის უფლება დაცული იქნება. ამასთან, აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს ფარგლებში, 2021 წელს,

ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 13 წევრზე განსაზღვრული ჰქონდა 3 კვოტა, რაც გულისხმობს 4,3 წევრზე ერთ კვოტას.

**კახაბერ ლაბუჩიძემ დამატებით აღნიშნა,** რომ დაახლოებით ერთი წელია მისი თავმჯდომარეობით ჩატარებულ არც-ერთ კომისიის სხდომას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ დასწრებია.

**ავთანდილ ცინცაძემ ასევე აღნიშნა,** რომ აღნიშნულ კომისიის სხდომასაც არ ესწრებიან ოპოზიციის სხვა წევრები, მათ შორის, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, რასაც კომისიის ყველა სხდომაზე სისტემატიური ხასიათი აქვს.

**ლილე ლიპარტელიანმა** გააჟღერა ინიციატივა, რომ საკრებულოს პროპორციული გადანაწილებისათვის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ უმრავლესობის შენარჩუნებისთვის შესაძლებელია საკრებულოში მოქმედი 11 კომისიის შემცირება 10 კომისიამდე.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა,** რომ თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია 1 კვირის ვადაში განსაზღვრავს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

2025 წლის 23 მაისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის – გიორგი ტყემალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

ასევე, 2024 წლის 2 დეკემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №641 განკარგულებით ვადამდე შეუწყდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრს - ირაკლი ხელაძის უფლებამოსილება, ხოლო, მ/წლის 20 მაისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №183 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კიდევ ერთ მაჟორიტარ წევრს - რევაზ სოხაძეს შეუწყდა ვადამდე უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობის ცვლილება გავლენას ახდენს საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე.

**ნინო ვარდოსანიძის განმარტებით,** დღეის მდგომარეობით, დამტკიცებულია საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები შემდეგნაირად:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 7 (შვიდი) წევრი;

2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 2 (ორი) წევრი;

3. ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ – 1 (ერთი) წევრი;

4. ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1(ერთი) წევრი;

5. საკრებულოს ის წევრები, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში - 2 (ორი) კვოტა.

**ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა** იმ გარემოებაზეც, რომ საკრებულოს იმ ფრაქციების კვოტის შემცირება, რომლებიც 1 (ერთი) წევრით არიან წარმოდგენილი, შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია კვოტის შემცირება შეეხოს საკრებულოს ოპოზიციის იმ ფრაქციებს, რომლებიც კომისიებში წარმოდგენილნი არიან ერთზე მეტი წევრით. ამასთან, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დღეის მდგომარეობით შედგება 7 წევრისგან, ხოლო საკრებულოს იმ წევრების რაოდენობა, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში შეადგენს რვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია განსაზღვრავს საკრებულოს 11 მუდმივმოქმედი კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი და დაცული იქნას კანონის მოთხოვნები და საკრებულოს ყველა ფრაქციის წევრთა და საკრებულოს იმ წევრების უფლება, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, აითვისონ კომისიის შემადგენლობისთვის დადგენილი კვოტები.

დასკვნის სახით, ნინო ვარდოსანიძემ განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვრება არაუმეტეს 11 (თერთმეტი) წევრით. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საკრებულოს თითოეულ კომისიაში შესაძლებლობა ექნება წარადგინოს 6 (ექვსი) წევრი, ხოლო, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვრებათ კვოტა 1 (ერთი) წევრის რაოდენობით.

**გადაწყვიტეს:**

**ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მხარი არ დაუჭირა** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე სხვა წევრებმა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად **განსაზღვრეს და მხარი დაუჭირეს** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს, რომელიც

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად, დანართის სახით, დასამტკიცებლად წარედგინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

| | | |
|---|---|---|
| **სხდომის თავმჯდომარე** | | **ნინო ვარდოსანიძე** |
| **სხდომის მდივანი** | | **თეონა ხვედელიძე** |